

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კორესპონდენტი
პროგრამის კოდი	070353
მიმართულება	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კორესპონდენტის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	45 კრედიტი მათ შორის 36 კრედიტი ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს და 9 თეორიულს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>კორესპონდენტი პროფესიული მოღვაწეობის გარკვეულ ტიპს წარმოადგენს, რომლის საფუძველს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციონირება განსაზღვრავს. ჟურნალისტური საქმიანობა პოლიტიკური, სოციოლოგიური, საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური მეცნიერებების ინტეგრირებული სინთეზია. იგი განსაკუთრებული სოციალური ინსტიტუტია, რომლის შემადგენელი ნაწილებია: პერიოდულ და ელექტრონული მედიასაშუალებების რედაქციები, საინფორმაციო სააგენტოები და სხვა სახის კომუნიკაციის საშუალებები. თანამედროვე ინფორმირებულ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციების როლი განუზომლად დიდია. მისი საშუალებით უნდა დაკმაყოფილდეს ინფორმაციულ პროდუქტზე საზოგადოების მოთხოვნილება. იმისათვის, რომ მედიასაშუალებებმა წარმატებით შეძლონ ფუნქციონირება, საჭიროა სარედაქციო კოლექტივისა ქტიური, გუნდური მუშაობა. ამ კოლექტივის მნიშვნელოვანი რგოლია კორესპონდენტი, სპეციალისტი, რომელიც საკომუნიკაციო ინდუსტრიის ნაწილს ქმნის და პროფესიონალი კომუნიკატორების გადაწყვეტილების შესაბამისად გარკვეული მედიასაშუალებებისათვის ინფორმაციულ პროდუქტს ამზადებს. საკომუნიკაციო ქსელების გაფართოვებამ გაზარდა მოთხოვნილება კონკურენტუნარიან ჟურნალისტურ კადრებზე, განსაკუთრებით კორესპონდენტის პროფესიაზე. 2008 წლიდან ამოქმედებულის ახელმწიფო პროგრამა „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“, რომელშიც სხვაჟურნალისტურ პროფესიებთან ერთად კორესპონდენტის პროფესიული სტანდარტიცაა მოცემული.</p> <p>წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამას საფუძვლად უდევს 15 წლიანი გამოცდილება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული ჟურნალისტები, წარმატებით ართმევენ თავს პრაქტიკულ პროფესიულ საქმიანობას. კურსდამთავრებულებს მნიშვნელოვანი</p>

	<p>მიღწევები აქვთ ადგილობრივ ტელე და რადიო კომპანიებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, საინფორმაციო სააგენტოებსა და პრეს-სამსახურებში კორესპონდენტების, რედაქტორების, რეპორტიორების, პროდიუსერების, საინფორმაციო გადაცემათა წამყვანის თანამდებობებზე.</p> <p>რეგიონში ჟურნალისტურ კადრებზე მოთხოვნილება მაღალია. რეგიონულმა ინტეგრაციის პროცესებმა, ინფორმაციული ბაზრის გაზრდამ, კერძო რადიო და ტელეკომპანიათა ქსელის გაფართოებამ, ტურიზმის განვითარებამ, ახალი ტურისტული სააგენტოებისა და ქსელების ჩამოყალიბებამ გაზარდა პროფესიულ ჟურნალისტურ კადრებზე მოთხოვნა. გაიზარდა ჟურნალისტიკის პრაქტიკული როლი ისეთ სფეროებში, როგორცაა საზოგადოებრივი ურთიერთობები, საინფორმაციო სააგენტოები, ბეჭდური და ელექტრონული მედიასაშუალებების რედაქციები.</p> <p>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აბიტურიენტებს სთავაზობს „კორესპონდენტის“ პროფესიული განათლების მესამესაფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.</p> <p>პროგრამის მიზნებია სტუდენტს შეასწავლოს კორესპონდენტის სპეციალობა (ინფორმაციის მოპოვება და მოკლე ტექსტური რელიზების წერა), მისი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მედია და საკომუნიკაციო აპარატურის გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში; გამოუმუშაოს განსხვავებულ სიტუაციებში საკუთარი მოვალეობების შესრულების და ადექვატურად მოქმედების უნარი.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები</p>	<p>პროგრამის ფარგლებში სწავლება ეფუძნება საუდიტორიო, პრაქტიკულ და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. მუშაობის ფორმატებია: ლექცია, კლინიკური მუშაობა, პრაქტიკული, ჯგუფში მუშაობა:</p> <p>ა. ლექცია - მოიცავს სააუდიტორიო მუშაობას და გულისხმობს სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემის იზნით, ზეპირი ან/ და აუდიო/ვიზუალური დემონსტრირების ფორმით, წინასწარ განსაზღვრულ თემაზე ახალი ინფორმაციის მეთოდურად გამართული სახით, ამომწურავად და აკადემიურად იწოდებას;</p> <p>ბ. კლინიკური მუშაობა - სპეციალურად უზრუნველყოფილ ადგილას (ბსუ-ს შენობაში ან/ და მის ფარგლებს გარეთ) პროფესიული უნარების გამომუშავების მიზნით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ, კორესპონდენტის პრაქტიკულ საქმიანობას;</p> <p>გ. პრაქტიკული - საუდიტორიო ან გასვლითი მეცადინეობის სახე, როდესაც სტუდენტი თვითონ ან მისი მონაწილეობით სრულდება თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება (ინფორმაციის შეგროვება, გადამუშავება, მიწოდება ა.შ)</p> <p>დ. ჯგუფში მუშაობა - მოიცავს სტუდენტის სააუდიტორიო დატვირთვას კონკრეტულ საკითხზე/ თემაზე მიღებული ცოდნის გამოვლენის ფორმებს და სახეებს (ზეპირსიტყვიერი, წერილობითი მაგ.: დიალოგი, პოლემიკა, მოხსენებების წარმოდგენა, კონსულტაციები, პრეზენტაცია და სხვ.); პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით სწავლება ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით:</p>

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

წერიტი მუშაობის მეთოდი - რომელიც გულისხმობს საადიტორიო მუშაობის დროს პროფესორის/სპეციალისტის ლექციიდან ან ლიტერატური და ნამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, დამოუკიდებლად რეფერატის, ან ესეს შესრულებას, დაა.შ.

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის და საბუთების უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – გულისხმობს ინფორმაციის აუდიო/ვიზუალურ წარმოდგენას. საჭიროებიდან გამომდინარე, მასალა შესაძლებელია ერთდროულად აუდიოდავიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორ/მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრებმა ინდივიდუალურად უნდა დაამუშაონ საკითხი და პარალელურად გაუზიარონ ის ჯგუფის და ნარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ამ სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობა სასწავლო პროცესში.

მეთვალყურეობით და დამოუკიდებლად წიგნზე/წყაროზე (სამართლებრივა ქტებზე) მუშაობა - სტუდენტს ეკისრება ვალდებულება დაამუშავოს დარგობრივი ლიტერატურა და შედეგები წარუდგინოს პროფესორს/მასწავლებელს. მუშაობის პროცესი შეიძლება იყოს ზედამხედველობის ქვეშ ან თავისუფალი, რაც უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული.

საჯარო განხილვის მეთოდი – სტუდენტი ემზადება და მონაწილეობს საჯარო დისკუსიაში კონკრეტულ თეორიულ ან პრაქტიკულ პრობლემაზე.

პროფესორი/სპეციალისტი/მასწავლებელი და სხვ. უფლებამოსილია სწავლების დროს გამოიყენოს სხვა მეთოდებიც, რომელსაც აღწერს სილაბუსში და თავსებადი იქნება სასწავლო კურსის შედეგებთან.

სწავლების ფორმატი - სწავლება მიმდინარეობს ლექციის, ჯგუფში მუშაობის, კლინიკური/პრაქტიკული მუშაობის, სასწავლო კოლოქვიუმის, რეიტინგული წერის, კონკრეტულ საკითხებზე/თემებზე კონსულტაციების, დამოუკიდებელი მეცადინეობის, ინდივიდუალური დაგუნდური მუშაობის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების და წარმოდგენის ფორმატში, შესაბამისი სასწავლო კურსის თავისებურებების გათვალისწინებით პროფესორის/სპეციალისტის არჩევანის საფუძველზე.

პროგრამის თითოეული კომპონენტი აღიწერება სილაბუსით, რომელშიც

	<p>განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზნები, სწავლების მეთოდები, ფორმატი, შედეგი და სხვ. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად შემადგენელ ელემენტს. დაუშვებელია კომპონენტის განხორციელება და პროფესიული სტუდენტისთვის კრედიტის მინიჭება იმ სასწავლო კურსში, რომელშიც არ არსებობს სილაბუსი ან არსებობს, მაგრამ არ აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს (განსაზღვრულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით). სილაბუსი სავალდებულო სახელმძღვანელოა პროფესიული სტუდენტისათვის და მისი მეშვეობით ხდება აკადემიური ხარისხის მოპოვებისთვის საჭირო კრედიტების ათვისება.</p> <p>პროფესიული პროგრამის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები გულისხმობენ ჟურნალისტური სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას, ფართო ცოდნას კორესპონდენტის საგანმანათლებლო პროგრამის კურსის შესაბამისად; აქვს დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოვების თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით აცნობიერებს ცოდნის განახლებულ ფარგლებს. იცის ჟურნალისტიკის პრინციპები, შეუძლია ინფორმაციის აქტუალობისა და პრიორიტეტულობის მიხედვით მოვლენის ადგილზე მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება; განსაზღვროს საკუთარი და რესპონდენტის შეხვედროს დრო და ადგილი. შესთავაზოს რედაქციას საინფორმაციო მასალების მიწოდების ფორმა (მოკლე „ნიუსი“, ინტერვიუ). დამოუკიდებლად ამყარებს კონტაქტს პროფესიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვან საჯარო პირებთან და სხვა რესპონდენტებთან (მათ შორის რომელიმე უცხო ენაზე), აქვს ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების და აუცილებელი ლიტერატურის მოძიების და აუდიო-ვიზუალურ არქივებთან მუშაობის უნარი. დამოუკიდებლად შეუძლია შეაფასოს საკუთარი პროფესიული კომპეტენციის დონე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება პროფესიული განათლების ასამაღლებლად.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და მიმდინარე შუალედურ გამოცდებს. შუალედური შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც, რომლებიც სილაბუსითაა გათვალისწინებული.</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა, ხოლო შუალედურ შეფასებებს 60 ქულა. სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე</p>

	<p>შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 11 ქულა და დაესწროს სალექციო საათების მინიმუმ ორ მესამედს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე. დასკვნით გამოცდაზე 21 ქულაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად. სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიური დოქტორი გურანდა შამილიშვილი ტელ: 599 00 89 50 ელ. ფოსტა guranda_shamilishvili@mail.ru</p>